ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 181

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.525.694 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „ლუკა დეველოპმენტის" (ს/კ 404494454) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №26-ში მდებარე 127 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.05.015.017) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე